ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 02-22/109

ქ. ბათუმი 26.04. 2022 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო", ს/ნ 245675880 (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ეკონათება", საიდენტიფიკაციო კოდი 445471132, მის: ქ.ბათუმი, ბარათაშვილის 36, მომსახურე ბანკი ს/ს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ნ GE16BG0000000563907500, წარმოდგენილი მისი დირექტორის შორენა თავდგირიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ღებულობს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ამა წლის 15 მაისისა შემსყიდველს მიაწოდოს თანდართული ფასების ცხრილით გათვალისწინებული საქონელი (CPV 24900000 - სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები, 31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა, 31600000 - ელექტრომოწყობილობები და აპარატურა, 42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის, 44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები, 44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები, 44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები, 39200000 - ავეჯის აქსესუარები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 819 ლარს, მათ შორის:
2.1.1. CPV 31200000 – 50 ლარი;
2.1.2. CPV 24900000 – 81 ლარი;
2.1.3 CPV 39200000 – 15 ლარი;
2.1.4. CPV 44500000 – 384 ლარი;
2.1.5. CPV 31600000 – 25 ლარი;
2.1.6. CPV 42100000 – 11 ლარი;
2.1.7. CPV 44100000 – 30 ლარი;
2.1.8. CPV 44400000 – 223 ლარი;
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. <u>დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი;</u>

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.
3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების ან/და სხვა საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.
3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის თანამშრომელი რიხარდ გიორგაძე.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.
6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

_____	_____
Jemal Gvetadze Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze Дата: 2022.04.26 12:12:24 +04'00'	Shorena Tavdgiridze Digitally signed by Shorena Tavdgiridze Date: 2022.04.26 13:57:59 +04'00'

	დანართი #1 ხელშეკრულება # 02-22/109 26.04.2022წ.					
	დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა
1	წებო - MDF- ის, 500ML + 125 GR (AKFIX)	24910000	ცალი	2	28	56
2	წებო - MDF- ის, 400ML + 100 GR (AKFIX)	24910000	ცალი	1	25	25
	სულ	**24900000**				**81**
2	ელექტროგამანაწილებელი ან საკონტროლო აპარატურის ნაწილები - რკინის ყუთი შიგა 25*30*12 wi-fi	31230000	ცალი	1	45	45
3	შტეფსელები და ჩანგლები - სამკაპი გადამყვანი	31224100	ცალი	1	5	5
	სულ	**31200000**				**50**
1	საკანცელარიო დანები	39241100	ცალი	1	15	15
	სულ	**39200000**				**15**
1	საიზოლაციო ლენტი, A კალსის EKF (თეთრი)	31651000	ცალი	5	5	25
	სულ	**31600000**				**25**
1	მომჭერები - ლითონის ხამუთი	42141500	ცალი	3	1	3
2	მომჭერები - ლითონის ხამუთი	42141500	ცალი	4	2	8
	სულ	**42100000**				**11**
4	შლანგები - ონკანის წყლის მომარაგების შლანგი	44165100	ცალი	2	15	30
	სულ	**44100000**				**30**
1	საკეტიანი ჩემოდნები - ინსტრუმენტების პლასტმასის ჩემოდანი 16 METAL YENI	44421722	ცალი	1	40	40
2	საკეტიანი ჩემოდნები -სამუშაო ინსტრუმენტების პლასტმასის ჩანთა დაყალიბებული პლასტმასის	44421722	ცალი	1	75	75
	წებოვანი ლენტები 3,6*14მ	44424200	ცალი	2	4	8
	პლასტმასის ჩხირები - პლასტმასის ჩოფიკი 8MM	44425000	ცალი	100	0,05	5
	რგოლები, შუასადებები, შემოსაკრავები, ჯოხები და დუღაბსატენები - რკინის პეპელა მნ	44425000	ცალი	5	3	15
	რგოლები, შუასადებები, შემოსაკრავები, ჯოხები და დუღაბსატენები - ანკერი ჩარჩოს 7,5*152 buldex	44425000	ცალი	10	1	10
	ონკანი შემრევი 33-373	44411100	ცალი	2	35	70
	სულ	**44400000**				**223**
1	საჭრისები - სახრახნისის საცვლელი 2PCS*T30*50	44512100	ცალი	2	3	6
2	ჩაქუჩი	44512300	ცალი	1	17	17

3	ბურღები - ელექტრობურღის საცვლელი პირი მეტალის 8 MM	44512910	ცალი	1	10	10
4	სახრახნისის პირები - ექვსკუთხა სახრახნისების ნაკრები 8 ც-იანი	44512920	ცალი	1	20	20
5	ბოქლომების ნაკრები	44521210	ცალი	1	3	3
6	სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები - სადენის საჭრელი 160მმ 6	44512000	ცალი	1	20	20
	სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები - თარაზო მაგნიტით 60 სმ	44512000	ცალი	1	20	20
7	სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები - მილის მაკრატელი	44512000	ცალი	1	25	25
	სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები - საზომი რგოლი 3m*16mm	44512000	ცალი	1	10	10
	სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები - ბრტყელტუჩა წყლის ტუმბო, მეტალის, რეზინის სახელურით	44512000	ცალი	1	25	25
8	ბოქლომები - ბოქლომი LIANQIU 38მმ	44521210	ცალი	3	7	21
9	საკეტების ნაწილები - საკეტის გულანა, 700mm-3ksn	44522400	ცალი	1	12	12
	ავეჯის საკეტები	44521140	ცალი	24	6	144
10	საჭრისები - ლითონის საჭრელი ბარგალკის ქვა 115	44512100	ცალი	17	3	51
	სულ	**44500000**				**384**
	ჯამი					**819**

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
დირექტორის მოადგილე

ჯემალ გვეტაძე

Jemal Gvetadze

Подписано цифровой подписью: Jemal Gvetadze
Дата: 2022.04.26 12:12:58 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს "ეკონათება" დირექტორი

შორენა თავდგირიძე

Shorena Tavdgiridze

Digitally signed by Shorena Tavdgiridze
Date: 2022.04.26 13:58:29 +04'00'